საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №100

2025 წლის 12 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის №69 ბრძანებაში (ვებგვერდი, 18/10/2022, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017025) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი მუხლის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების დროშები და ემბლემები (დანართი №3);“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკები (დანართი №7);“;

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ალმები (დანართი №9).“.

2. ბრძანებით დამტკიცებული №9 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**

დანართი №9/1

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის

(2021-2025 სასწავლო წლები) ალამი – ლაშარი



აღწერილობა

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის – „ლაშარის“ ალამი წარმოადგენს მართკუთხა მეწამულ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, ალმის მეწამულ ველს ჰორიზონტალურად ოთხ ნაწილად კვეთს ვერცხლის (თეთრი) ჯვარი. ალამს მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს

აქვს ორი კუწუბო. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ვერცხლის ქობაშემოვლებული ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია შტანდარტის ტიპის ვერცხლის (თეთრი) ჯვარი.

დანართი №9/2

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის

(2022-2026 სასწავლო წლები) ალამი – გორგასლიანი



აღწერილობა

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის – „გორგასლიანის“ ალამი წარმოადგენს მართკუთხა მეწამულ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, ალმის მეწამულ ველს ჰორიზონტალურად ოთხ ნაწილად კვეთს ვერცხლის (თეთრი) ჯვარი. ალამს მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს აქვს ორი კუწუბო. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ვერცხლის ქობაშემოვლებული ჰერალდიკური ფარი, რომლის სევადის (შავ)

ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) სტილიზებული მგლის თავის გამოსახულება, რომელიც მიმართულია მარცხნივ (ჰერალდიკური მარჯვენა მხარე).

დანართი №9/3

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის (2023-2027 სასწავლო წლები) ალამი – ტამიში



აღწერილობა

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის – „ტამიშის“ ალამი წარმოადგენს მართკუთხა ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის ველს ჰორიზონტალურად ოთხ ნაწილად კვეთს ვერცხლის (თეთრი) ჯვარი. ალმის პირველი და მეოთხე მეოთხედი ლაჟვარდისაა (ლურჯი), ხოლო მეორე და მესამე მეწამული (წითელი). ალამს მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს აქვს ორი კუწუბო. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ჰერალდიკური ფარი, რომლის ვერცხლის (თეთრ) ველზე ზემოდან ქვემოთ, დამკვირვებლის მხრიდან

მარჯვნიდან მარცხენა მიმართულებით გამოსახულია სამი ზურმუხტის (მწვანე) და ორი ვერცხლის (თეთრი) ურთიერთმონაცვლე ირიბი ზოლი.

დანართი №9/4

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის (2024-2028 სასწავლო წლები) ალამი – არტანუჯი



აღწერილობა

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის კურსის – „არტანუჯის“ ალამი წარმოადგენს ორკუწობოიან მართკუთხა მეწამულ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3; ალმის მეწამულ ველს ჰორიზონტალურად ოთხ ნაწილად კვეთს ვერცხლის (თეთრი) ჯვარი. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ვერცხლის ქობაშემოვლებული ჰერალდიკური ფარი, რომლის სევადის (შავ) ველზე გამოსახულია მოტივტივე ვერცხლის (თეთრი) ციხესიმაგრე ქვემოდან აღმართული ვერცხლის ხმლით.

დანართი №9/5

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის უმცროსი ოფიცრის მომზადების საკანდიდატო კურსის (2024-2025 სასწავლო წლები) ალამი – თეთრი გიორგი



აღწერილობა

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის უმცროსი ოფიცრის მომზადების საკანდიდატო კურსის – „თეთრი გიორგის“ ალამი წარმოადგენს მართკუთხა მეწამულ (წითელ) ქსოვილს პროპორციით 2/3, რომლის მეწამულ ველს ჰორიზონტალურად ოთხ ნაწილად კვეთს ვერცხლის (თეთრი) ჯვარი. ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ვერცხლის ქობაშემოვლებული ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) გელათის აკადემიის სიმბოლო, შუაში ვერცხლის (თეთრი) შვიდქიმიანი ვარსკვლავით.

დანართი №9/6

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამის (2024-2026 სასწავლო წლები) ალამი – სისხლის ძმები



აღწერილობა

სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამის – „სისხლის ძმების“ ალამი წარმოადგენს მართკუთხა ქსოვილს. ალმის პირველი და მეოთხე მეოთხედი არის მეწამული (წითელი), ხოლო მეორე და მესამე ვერცხლის (თეთრი). ალმის ცენტრში გამოსახულია გადაჯვარედინებული მეწამული (წითელი) და ვერცხლის (თეთრი) სატევრები. სატევრების კომპოზიციაზე გამოსახულია ვერცხლის ქობაშემოვლებული ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) ჩაჩქანი.